4. გენდერი (Master's Program in Gender)

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

გენდერის სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი (Master in Social Sciences - Gender Studies)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ჯავახიშვილი

1. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

როგრამა მომზადებულია რატგერსის უნივერსიტეტის პროფესორ ჯოანა რეგულსკასთან თანამშრომლობით, რომელიც კონსულტირებას უწევს პროგრამას, გარდა ამისა, პროგრამამ გაიარა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის წევრთა ექსპერტიზა.

- მიზანი

  სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს

  - გენდერის სპეციალისტების მომზადებას
  - ინტერდისცილინური მიდგომის საფუძველზე გენდერის, როგორც მეცნიერული და სოციალური ფენომენის არსის გააზრებასა და შესაბამისი სამეცნიერო და პრაქტიკული, ვერბალური და წერითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას
  - გენდერული პერსპექტივისა და თანამედროვე სოციალური მეცნიერებების აკადემიური და გამოყენებითი კვლევითი ასპექტების სწავლებასა და ანალიტიკური ანგარიშების დაწერას.

- შედეგი

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფლობს გენდერის თეორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს, გენდერში სამეცნიერო კვლევის ჩატარებისა და დამუშავების ხერხებს და შეუძლია ჩაატაროს სრულფასოვანი სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევა გენდერის სფეროში. აქვს უნარი როგორც წერილობით, ისე ვერბალურად წარმოადგინოს საკუთარი კვლევის შედეგები და შეუძლია გამოიყენოს გენდერული პერსპექტივა ნებისმიერი საკითხის პრობლემური ანალიზისას.

- **დასაქმების სფეროები**

გენდერის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შესაძლოა დასაქმდნენ ყველა იმ საერთაშორისო და ადგილობრივ, სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში, რომლებიც მუშაობენ გენდერის და ქალთა საკითხებზე. Ggarda ამისა, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშავონ უფრო ფართო პროფილითაც, ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც ტარდება კვლევ სოციალურ მეცნიერებებში.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- ბაკალავრის ხარისხი მაღალი აკადემიური მოსწრებით ნებისმიერ სფეროში დამაკმაყოფილებელია; სასურველია, სტუდენტს გავლილი ჰქონდეს კურსები სოციალურ მეცნიერებებში.
- საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა მაგისტრატურაში ჩამბარებლებისათვის აუცილებელია მოტივაციის წერილის წარმოდგენა, რომელშიც ასახული იქნება აპლიკანტის სურვილი, მოლოდინი, მოტივაცა და ხედვა თუ რატომ აბარებს ის კონკრეტულად ამ სპეციალობაზე. დამატებით აპლიკანტს შეუძლია წარმოადგინოს ნებისმერი რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ასახავს მის აქტივობას, კვალიფიკაციის დონეს ან სამუშაო გამოცდილებას სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით;
- მისაღები გამოცდები უნდა ჩატარდეს წერითი ფორმით.
- მაგისტრანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B1 დონეზე.

საგამოცდო საკითხები

გამოცდისათვის მომზადებულია "რიდერი", რომელიც ინახება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრში. მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ტელეფონით: 899934182

ესეს საკითხები

1. წარმოიდგინეთ, რომ გენდერის საკითხების მკვლევარი ხართ. იმსჯელეთ, რომელ მეთოდს გამოიყენებდთ (რაოდენობრივს თუ თვისებრივს) და რატომ?

2. რატომ განიხილება ქალთა ჯანმრთელობის პრობლემები ცალკე საკითხად? ქალებს რაიმე განსაკუთრებული პრობლემები აქვთ? თქვენ რაში ხედავთ პრობლემას? გამოსავალს?

3. რას ნიშნავს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა? თქვენ რომელი მექანიზმები იცით? რა რჩევებს მისცემდთ ქვეყნების მთავრობებს, საჭიროა თუ არ საერთოდ რაიმე ინსტიტუციური მექანიზმი? თუ საჭიროა, რომელი? რა ფუნქციას უნდა ასრულებდნენ ისინი?

4. ფემინიზმის რომელი მიმართულების წარმომადგენელი იქნებოდით? რატომ?

კითხვები:

1. რამდენი გენდერი არსებობს?
2. განმარტეთ ტერმინი - გენდერული სოციალიზაცია
3. რა არის სექსიზმი?
4. რას ნიშნავს სექსუალური ქცევის ორმაგი სტანდარტი?
5. ქალზე ძალადობის რომელი ფორმები იცით?
6. რას გულისხმობენ მამაკაცები, როცა ამბობენ, რომ ქალი იგივე საშვილისნოა?
7. რას ნიშნავს ზეპირი ისტორიის მეთოდი?
8. განმარტეთ ტერმინი - გენდერული იდენტობა
9. განმარტეთ ტერმინი - ლიბერალური ფემინიზმი
10. რას ნიშნავს გენდერული დისპლეი და ვინ არის ამ ტერმინის ავტორი?
11. ქალების პარლამენტში მოხვედრას რა წინააღმდეგობები და სირთულეები ელოდება?
12. განმარტეთ ტერმინი - გენდერული როლი